ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 206-ძ

29/09/2016

ქ. თბილისი

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის №2-51 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულების“ მე-7 მუხლის მეექვსე პუნქტის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ქეთევან დადიანის 2016 წლის 20 სექტემბრის №3803-04 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის 2015 წლის 25 ივნისის №110-ძ (სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის 2015 წლის 23 ივნისის #107-ძ ბრძანებაში (სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით) დამატებების შეტანის თაობაზე) და 2015 წლის 11 ნოემბრის №230-ძ (სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით) ბრძანებები.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილეს (სამეცნიერო დარგში) ნოდარ ხატიაშვილს.

4. დაევალოს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველოს აღნიშნული ბრძანების დაგზავნა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებისათვის.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) მისი ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან უჯმაჯურიძე



დირექტორი